აგროსერვის ცენტრის გაზეთი

# გუთნეული

ერთად დავუბრუნოთ სიცოცხლე სოფელს!

№ 4. იანვარი. 2014 წელი

WWW.AGROSC.GE

## რედაქტორის სვეტი

მდიდარი რესურებისა და ტრადიციების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის მ.შ.პ-ს მხოლოდ 8,4 პროცენტია, ეს მაშინ, როცა მასზე რეალური დასაქმების 53%-ზე მეტი მოდის. მარტო ეს თანაფარდობაც მოწმობს, რომ ქართულ სოფელს, ჩვენს აგროსექტორს შველა, ხელშეწყობა და ფეხზე დაყენება სჭირდება. ფასადურმა, კოსმეტიკურმა ფსევდორეფორმებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ფაქტობრივად, რომ მოხმარებული პროდუქტების ნახევარზე მეტი – იმპორტულია, ხოლო თუ რამეს ვაწარმოებთ – იქაც ნედლეულის უდიდესი ნაწილი უცხოეთიდან შემოგვაქვს. ეს რომ არანორმალურია და ამასთან შეგუებაა შეუძლებელი, ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე განაცხადა. ამ რამდენიმე დღის წინ, ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სოფლის აღორძინება და აგროსექტორის რეანიმირება – ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავია.

სახელისუფლებო ნება, მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერა და სურვილი – ბევრს ნიშნავს, მაგრამ როგორც ერთი დიდი პიროვნება ამბობდა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს"-ო. ძნელია არ დაეთანხმო ამ სიბრძნეს, აშკარაა, რომ იმ დიდ გამოწვევებს, აგრობაზარზე უმძაფრეს კონკურენციასთან შეჭიდებას, იმ ოდენობით და იმ ხარისხის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რომელიც ქვეყანას დააპურებს და უცხო ბაზარზე დაამკვიდრების საშუალებას მოგვცემს, სათანადოდ მომზადებული, განსწავლული და მოტივირებული ფერმერი სჭირდება. სწორედ ასეთი მეწარმეები თუ შეძლებენ ადამ სმიტისეულ „ბაზრის უხილავ ხელთან" გამკლავებას და ბაზრებზე ხანგძლივად დამკვიდრებას. ამას კი პირველ რიგში, მოწინავე გამოცდილებების გაცნობა, კვალიფიკაციის ამაღლება, ჩვენი გლეხკაცის სიახლეების უპირატესობაში დარწმუნება და ყველაფერი ამის საინფორმაციო უზრუნველყოფა სჭირდება. ეს მისია აგროსერვის ცენტრს აკისრია და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, რაც 2013 წლის 17 იანვარს გამართულმა, წლის შედეგების შემაჯამებელმა პრეზენტაციამაც დაადასტურა. პრეზენტაციაზე აგროსერვის ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორის, გაეროს განვითარების პროგრამის, ENPARD Ajara პროექტის მენეჯერის ლაშა კომახიძის მიერ გაკეთბულმა შეფასებებმა, მოსაზრებებმა და სამომავლო ამოცანების ანალიზმა, უნებლიეთ გამახსენა დიდი მამულიშვილის, დედასამშობლოსთან სამასწლიანი განშორების შემდეგ შემოერთებული აჭარის ერთ-ერთი პირველ-მკვლევარის, ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერების ფრაგმენტი, რომელიც თბილისში, დიდი ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით, 1891 წელს გამოვიდა.

„ამ დღეებში გავიცანი ერთი აჭარელი ბეგი, სულეიმანბეგ თულუმბაზადე ბეჟანიძე, ანუ ძველად პირმსახურის შვილები, ესენი თამარ მეფის პირფარეშებად ყოფილან, თვითონ ეს ბეგი ახალგაზრდა კაცია, რუსობის შემდეგ ქართული და რუსული ენა და წერა-კითხვაც შეუსწავლია, აქა იქ იჯარებს იღებს.... დამპირდა, რომ მომავალ წლეს თუ აჭარაში მოხვალ და წიგნებს მოიტანთ, დიდს დახმარებას აღმოგიჩენთ და მთელს ქართველ მაჰმადიანთ სოფლებში დაგატარებთ, ჩვენს ბეგებს ძლიერ სურთ, რომ აჭარაში საბაღოსნო სკოლა დავაარსოთ, ჩვენთვის ასეთი სასწავლებელი დიდად საჭიროა, რადგანაც აქეთ ვაზი ძალიან მრავლობს, ქართველ მეფეების დროს აჭარაში ბევრი ღვინო მოდიოდა და ძალიან განთქმულიც იყო!". დღეს აგროსერვის ცენტრის დანიშნულებაც ხომ თანამედროვე სასოფლო ინდუსტრიის შექმნაა და ჩვენი თანამედროვეების ნატვრა და ოცნება რაღაცით ხომ ჰგავს დიდი ზაქარიას ნახსენები ჩვენებური სულეიმან ბეჟანიძის ნატვრა-ოცნებას? ღმერთმაც ინებოს და აგროსერვის ცნეტრს წარმატებით განეხორციელებინოს ეს მამულიშვილური მისია...

**ნუგზარ ჟორდანია**

## აგროსერვის ცენტრის მუშაობის მასშტაბები კვლავაც გაიზრდება



გავიდა კიდევ ერთი სამეურნეო წელი. შედეგები რომ შევაჯამეთ, აღმოჩნდა, რომ ცუდად არ გვიშრომია. ასეთია ყველას აზრი, ვინც კი ჩვენს საქმიანობას იცნობს. დადებითი შეფასება რა თქმა უნდა სასიამოვნოა. შარშან ჩვენ ვაგრძელებდით „აგროსერვის ცენტრის" სრულად ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის მუშაობას და ასეთი ამოცანა გვაქვს წელსაც. ეს ეხება ყველა მიმართულებას – მემცენარეობას, მეცხოველეობას და ფერმერთა სწავლება-კონსულტაციას. გვექნება მეტი სიახლეებიც, სანამ ყველაფერ ამაზე ვისაუბრებდე, ვფიქრობ უპრიანია ჩვენს მკითხველებს - ფერმერებს, აგრობიზნესმენებს, ყველას, ვისაც აგროსექტორთან აქვს შეხება მოკლედ ვაუწყო რა გავაკეთეთ შარშან.

დავიწყებ იმით, რომ ვაგრძელებდით ხეხილის - ციტრუსოვნების, ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ვაზის და ა.შ. საკოლექციო – სადემონსტრაციო სანერგეების გაშენებას და ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაძლიერებას. საუბარია სოფელ გვარას და ჩაქვის სანერგეებზე. შარშან გვარაში გამოვნახეთ სამი ჰექტარი მიწა, აგროწესების მიხედვით გავაკულტურეთ და დავრგეთ ათასობით ძირი ხეხილისა და ვაზის ელიტარული ნერგი. ეს იქნება სადედე ბაღები, სადაც მოხდება ნარგავებზე დაკვირვება, ღირსებებში გარკვევა და დადებითი შედეგების შემთხვევაში, ავიღებთ კვირტს მყნობისა და ახალი ნერგების მასობრივად გამოსაყვანად. ამ ნერგებს თვითღირებულების ფასად მივყიდით მოსახლეობას ბაღების გასაახლებლად. გვარაში კიდევ მოვამზადეთ შვიდი ჰექტარი ტერიტორია, სადაც ხეხილის ანალოგიურ სანერგეს გავაშენებთ. გვარას მეურნეობაში მოვაწყვეთ ხილის გადამამუშავებელი მინი საწარმო, ხილის საშრობი, შოკური გაყინვის, და მზა პროდუქციის შესანახი მაცივრები. ორივე მეურნეობაში დავასრულეთ ადმინისტრაციული შენობების, ფერმერთა სასწავლო – საკონსულტაციო ცენტრების მოწყობა. ავაშენეთ რამდენიმე სათბური ხეხილის სანერგე მასალის გამოსაყვანად.

გაგრძელება მე-2 გვ.

## აჭარის მთავრობის თავმჯდომარე აგროსერვის ცენტრის მუშაობას გაეცნო

აგროსერვის ცენტრი თანდათან ძალას იკრებს, მისი სამოქმედო არეალიც ფართოვდება და ტექნიკური აღჭურვილობაშესაძლობებიც იზრდება. ფაქტია, რომ უახლოეს მომავალში, ეს სტრუქტურა ქვეყნის აგროსექტოში სიახლეთა დანერგვის, ფერმერთა მომზადების და ქართული სოფლის აღორძინების პროგრამათა განხორციელების ნამდვილ, სამეცნიერო-საცდელ და სამეურნეო-პრაქტიკული მუშაობის პოლიგონად იქცევა.

ამას წინათ, ქობულეთში აგროსერვის ცენტრის ახლადგახსნილი ფერმერთა მომსახურების სერვის ცენტრი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, არჩილ ხაბაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით ნატროშვილმა და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტკარაძემ



მოინახულეს. ისინი აგროსერვის ცენტრში მიმდინარე პროექტებსა და სამომავლო გეგმებსაც გაეცნენ. მათ სტუმრობას სხვა დატვირთვაც ჰქონდა: მათ აგროსერვის ცენტრში, პირუტყვის ჯიშთგანახლების მიზნით შექმნილი სამსახურებისათვის ავტომანქანებისა და სხვადასხვა საჭირო ინვენტორ-მოწყობილობების გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს.

ამჟამად, აგროსერვის ცენტრის შესაბამისი სამსახურები აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს. სადგურების სათანადო, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და ინვენტორ-მოწყობილობებითაა აღჭურვილი, რაც ადგილობრივ ფერმერებს, საჭირო მომსახურებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. 7 ერთეული ავტომანქანა „ნივა" და ინვენტარ-მოწყობილობები აგროსერვის ცენტრს, გაეროსა და ევროკავშირის მიერ „ENPARD Ajara სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში" პროექტის ფარგლებში საჩუქრად გადაეცა.

**მერი ემირიძე**

## აგროსერვის ცენტრმა 2013 წლის მუშაობის შედეგების პრეზენტაცია გამართა



აგროსერვის ცენტრის ქობულეთის ფერმერთა მომსახურების ცენტრში ორგანიზაციის 2013 წლის სამუშაოების ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. მემცენარეობის, მეცხოველეობის, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების უფროსებმა და გაეროს პროექტის მენეჯერმა აგროსერვის ცენტრში გასული წლის საქმიანოებები შეაჯამეს. პრეზენტაციას აგროსერვის ცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე, ENPARD Ajara პროექტის მენეჯერი ლაშა კომახიძე და აგროსერვის ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

შარშან ორგანიზაციაში მოეწყო გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა, მუნიციპალიტეტებში გაიხსნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურები, ასევე აგროსერვის ცენტრის ქობულეთის

გაგრძელება მე-2 გვ.

2

**აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები 2014 წელს**

6 მიზნობრივ პროგრამას განახორციელებს, რომელთა საერთო ბიუჯეტი 3 მილიონ 30 ათასი ლარია



2

**აგროსერვის ცენტრის სპეციალისტების ვიზიტი სომხეთში**

ვიზიტის პროგრამის ფარგლებში, ჩვენს წამყვან სპეციალისტებს სომეხმა კოლეგებმა ყველა პირობა შეუქმნეს



3

**მერძეული ძროხის სელექციაში თანამედროვე მიდგომებს ვნერგავთ**

სარძეო ფურების ხელოვნურად გასანაყოფიერებლად გამოიყენება მხოლოდ გაუმჯობესებული კურო- მწარმოებლები



3

**ჩირის წარმოებას დიდი პერსპექტივა აქვს**

შრობა უზრუნველყოფს მალფუჭებადი პროდუქტების ხანგძლივი შენახვის მდგომარეობაში გადაყვანას



4

**სასოფლო- სამეურნეო ბარათებს ყველა მეურნე მიიღებს**

კომბინირებული ბარათებით წელს მხოლოდ სასუქების, პესტიციდების და თესლ-ნერგის შეძენა იქნება შესაძლებელი



# აგროსერვის ცენტრის მუშაობის მასშტაბები ქვეყნის გაიზრდება

დასაწყისი 1 გვ.

მუნიციპალიტეტში შევქმენით კაკლისა და მოცვის სადემონსტრაციო ნაკვეთები.

თვალსაჩინო შედეგები გვაქვს მეცხოველეობაშიც, კერძოდ, მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებისათვის ხელოვნური განაყოფიერების ქსელის გაფართოებაში. თუ 2012 წელს ხელოვნური განაყოფიერების ერთი პუნქტი გვქონდა, 2013 წელს კიდევ ორი გავხენით ქობულეთსა და ქედაში. ვამზადებდით საფუძველს ასეთი პუნქტების შუახევსა და ხულოში გასახსნელად. ამისათვის, ჩავატარეთ სათანადო საუბრები, დავარიგეთ ათასობით ბუკლეტი და სხვა საცნობარო ლიტერატურა. შარშანწინ 130 ხელოვნური განაყოფიერება ჩავატარეთ, შარშან 470. წელს ამ მხრივ მეტის გაკეთებას ვგეგმავთ. ამ მიზნით, გადავამზადეთ სპეციალისტები.

ვაფართოებდით ფერმერთა სწავლა-კონსულტირების პრაქტიკასაც. აქტიურად მუშაობდნენ ჩვენი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებიც და გაეროსა და ევროკავშირის პროგრამებით დასაქმებული ცონსულტანტ-მკვლევარებიც.

წელს გვარაში ახლად გაკულტურებულ 7 ჰექტარ ტერიტორიაზე ხეხილის საკოლექციო-სადემონსტრაციო ბაღს გავაშენებთ. აქვე, ჩვენი ფერმერები პრაქტიკულად გაეცნობიან ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე მეთოდებს, თითოეული ჯიშის ღირსებებს და თავიანთი ბაღებისთვის სასურველს შეარჩევენ. გვარას სანერგე მეურნეობაში განსაზღვრული გვაქვს მოვაწყოთ პატარა მარანი, ჩავრთოთ იგი აგრო-ტურისტულ პროგრამაში. სათანადო შეთანხმება უკვე გვაქვს ტურიზმისა და ექსკურსიების სააგენტოსთან. აქცენტს აჭარაში გავრცელებულ ვაზის ჯიშებზე გავაკეთებთ. ეს უფრო საინტერესო იქნება. არის საუბარი, რომ გადმოგვეცეს ცეცხლაურის მოცვის სანერგე მეურნეობა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციას ეკუთვნის. უკვე გადაწყვეტილია იმავე კორპორაციის კუთვნილი ჩაქვის ციტრუსების საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, ახალსოფლის ბოსტნეულის საჩითილე მეურნეობის გადმოცემა. აქვე მოვაწყობთ ხეხილის დასახარისხებელ-გადამამუშავებელ საამქროს. ასევე, ახალი თევზის შოკური გაყინვის საამქროს. გაყინულ თევზს იქვე დავაფასოვებთ და შევფუთავთ. საერთოდ ვგეგმავთ სამაცივრე მეურნეობის მოწყობას. დავეხმარებით ბავშვთა პროდუქტების მწარმოებელ კომპანია „ჰუმანა"-ს აჭარიდან ვაშლისა და სხვა ხილის მიწოდებაში. დავაკავშირებთ მას ფერმერებთან, რომლებიც შეაგროვებენ ხილს და კენკრას. ხეხილის დამტვერვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გვინდა მოვაწყოთ პატარა საფუტკრე მეურნეობაც, სადაც განთქმულ ქართულ ფუტკარს ვიყოლიებთ. მოვაწყობთ ყუთების დასამზადებელ საამქროებსაც. შეძენილი გვაქვს მიწის სინჯების აღების, ტენიანობისა და მჟავიანობის განმსაზღვრელი ხელსაწყოები. ვაპირებთ, ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური კვლევის ლაბორატორიების მოწყობას. გამოკვლევების ღირებულება მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იქნება.

ხელს შევუწყობთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებას და განვითარებას, გავუწევთ ბუღალტრულ მომსახურებას. ვაპირებთ შევქმნათ ბიზნეს-ჯგუფები და დავიწყოთ ბიზნეს-პროექტების მომზადება. დავეხმარებით ფერმერებს ხეხილის მიღების, გაშენებასა და მოვლა-პატრონო-ბაში. უკვე ათამდე მსურველი გვყავს, რომლებიც სიამოვნებით გაიღებენ საჭირო თანხას. ჩვენც ხელს არაფერი გვიშლის. გვყავს მუშები, სპეციალისტები 2015 წლიდან დავიწყებთ ელიტარული ნერგების წარმოებას.

ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ორიენტირი ფერმერთა პროფესიული განათლებაა. მათ ელემენტარული ცოდნა მაინც უნდა ჰქონდეთ მემცენარეობაშიც, ვეტერინარიაშიც, ფინანსურ სფეროშიც. სხვა შემთხვევაში კი, ჩვენი სპეციალისტები გაუწევენ მომსახურებას. საერთოდ, იმ ქვეყნებში, სადაც აგროსექტორი განვითარებულია, აგროსერვისცენტრები ძირითადად საინფორმაციო-საკონსულტაციო მიმართულებით მუშაობენ. მათ არ აქვთ სამეურნეო-პრაქიკული საწარმოს ფუნქცია. სწორედ ფერმერთა ამგვარი მომსახურების საფუძველზე თვითდაფინანსებაზე იმყოფებიან. საბოლოოდ, ჩვენი აგროსერვის ცენტრიც ამგვარ მუშაობაზე უნდა გადავიდეს.

მნიშვნელოვანია გაეროსა და ევროკავშირის დიდი ხელშეწყობა და თანამშრომლობა ჩვენთან. ისინი ანხორციელებენ პროექტს - „სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში". ამ 3 მილიონიანი პროექტის მეშვეობით გვეხმარებიან სანერგეების მოწყობაში, პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების ქსელის განვითარებაში. ამ დაფინანსებით ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვა, კონსულტანტ-მკვლევარების მუშაობა და ა.შ.

ორივე საერთაშორისო ორგანიზაცია დადებითად აფასებს „აგროსერვისცენტრის" საქმიანობას. ისინიც თვლიან, რომ ამ საპილოტე აგროდაწესებულების მუშაობა ქვეყნის მასშტაბით უნდა განზოგადდეს. ასეთივე აზრისაა საქართველოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროების ხელმძღვანელობა და აჭარის ხელისუფლება. ისღა დაგვრჩენია, წელსაც გულმოდგინედ მოვეკიდოთ დაკისრებულ მოვალეობას, რომ წლის ბოლოს თამამად და წარმატებულად წარვდგეთ მოსახლეობის წინაშე, რომელიც მოუთმენლად ელოდება ჩვენს პროდუქციას და მომსახურებას.

**გოჩა ბერიძე**
**„აგროსერვის ცენტრის" დირექტორი**

# აგროსერვის ცენტრმა 2013 წლის მუშაობის შედეგების პრეზენტაცია გამართა



დასაწყისი 1 გვ.

ფერმერთა მომსახურების ცენტრი. აგროსერვის ცენტრის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში კონსულტირება 6000-მდე ფერმერს გაეწია. გაეროს პროექტის ფარგლებში აგროსერვის ცენტრმა მოაწყო ფერმერებისთვის აგროტურები, სადაც წამყვანი სანერგე მეურნეობების გამოცდილებებს გაეცნენ, 20-მდე ფერმერს რძის სახდელი და საწველი აპარატურა საჩუქრად გადაეცა, მოეწყო მოცვისა და კაკლის სადემონსტრაციო-საჩვენებელი 6 ნაკვეთი ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. პრეზენტაციაზე 2014 წლისთვის დაგეგმილ ღონისძიებებზე და ახალ ამოცანებზეც ისაუბრეს.

**ნუგზარ ჟორდანია**

# აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები 2014 წელს





წელს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში 6 მიზნობრივ პროგრამას განახორციელებს, რომელთა საერთო ბიუჯეტი 3 მილიონ 30 ათასი ლარია. შარშან ცხრა მიზნობრივი პროგრამის განხორციელებას მილიონ ლარზე ცოტა მეტი მოხმარდა. წელს, თანხობრივი ზრდა, პროგრამების მაშტაბების გაზრდამ გამოიწვია, რაც უეჭველად გაზრდის მათ ეფექტურობას.

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობას" 1,300 ათასი ლარი მოხმარდება. სამინისტრო ამ თანხით შეიძენს 360 ერთეულ მოტობლოკს და მცირე მექანიზაციის სხვა საშუალებებს, რომლებიც ფერმერებს ღირებულების 30 პროცენტად გადაეცემა.

„მცირე სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის" – ნახევარი მილიონი ლარი დაიხარჯება. სულ შეიძენენ 250 სასათბურე კონსტრუქციას და მათაც სათბურები ღირებულების 30 პროცენტად მიეწოდება.

„მრავალწლოვანი ხეხილის ნერგებით ფერმერთა ხელშეწყობის" პროგრამის ბიუჯეტი წელს 250 ათასი ლარია. ამ ფულით, სამინისტრო 8 ათასამდე ძირ კაკლის, 3,5 ათას სუბტროპუკული ხურმის, 13, 750 ძირ მოცვის და 2 ათას ძირ კივის ნერგს შეიძენს და მათაც, 30 პროცენტიანი თანადაფინანსებით მიჰყიდის ფერმერებს.

გაზრდილია „მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამა. წელს სამინისტრო 964 ფიწური წარმოების სკას, 30 თაფლის საწურ ციბრუტს შეიძენს მეფუტკრე ფერმერებისათვის და ამისთვის 250 ათას ლარს დახარჯავს.

„სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბებისა და დანერგვის" მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტი 80 ათასი ლარია. ეს თანხა უკვე შექმნილი ხუთი კოოპერატივისა და ახლადჩამოყალიბებული კიდევ სამი კოოპერატივის ორგანიზაციულ-სტრუქტურული საკითხების გადაწყვეტას მოხმარდება.

ფართომაშტაბიანი მიზნობრივი პროგრამაა „ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების ჩატარება", რომლის განხორციელებისთვისაც 650 ათასი ლარია გათვალისწინებული. საქმე ეხება მჟავე ნიადაგებში მის გასანეიტრალებლად დეფეკაციური ტალახის შეტანას. ასეთი ნიადაგები ფერმერულ მეურნეობებში საკმაოდაა, რაც შარშანდელი ლაბორატორიული კვლევებით იქნა გამოვლენილი. ფერმერს ერთ ჰექტარზე ტონამდე ტალახის შეტანა დასჭირდება, რაც 40-50 ლარი დაუჯდება.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ტენდერები ზემოთაღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე, უახლოეს დღეებში გამოცხადდება, იმ ანგარიშით, რომ მათი განხორციელება მარტის დადგომისთანავე დაიწყოს.



# აგროსერვის ცენტრის სპეციალისტების ვიზიტი სომხეთში



აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აგროსერვის ცენტრის თანამშრომელთა 15 კაციანი დელეგაცია, სამდღიანი ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკას სტუმრობდა. დელეგაციას აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სულიკო ბერიძე ხელმძღვანელობდა.

ვიზიტის პროგრამის ფარგლებში, ჩვენს წამყვან სპეციალისტებს სომეხმა კოლეგებმა ყველა პირობა შეუქმნეს, რომ საფუძვლიანად გასცნობოდნენ იმ მიღწევებს, რომელსაც მათ ბოლო დროს მიაღწიეს და საგრძნობლად გაზარდეს ქვეყნის საქსპორტო აგროპოტენციალი. მასპინძლებმა სტუმრებს ერევანსა და მის შემოგარენში არსებული ხილის შემგროვებელ-დამხარისხებელი ცენტრები, მოდერნიზებული მეცხოველეობის ფერმები და ყველის მწარმოებელი მინისაწარმოები დაათვალიერებინეს. გააცნეს ფერმერთა სასათბურე მეურნეობების უზრუნველყოფის ცენტრისა და სომხეთში სოფლის მეურნეობის კუთხით წამყვანი კომპანია „CARD"-ის მუშაობა. მეზობელ ქვეყანაში აგროსექტორის ახალი ტექნოლოგიების გაცნობა და მოწინავე გამოცდილების გაზიარება „ENPARD Ajara"- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში" პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და განხორციელდა. სომეხი კოლეგების საქმიანობის გაცნობა, ამ სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების გაცნობის პარალელურად, ჩვენს სპეცილისტებს ჰქონდათ შეხვედრები ცალკეულ ფერმერებთანაც, სადაც ადგილზე, დეტალურად გაეცნენ მათი მუშაობის ყველა წვრილმანს. განსაკუთრებული, საინტერესო და ყურადსაღები გამოდგა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (თხის) ფერმის მუშაობის გაცნობა, სადაც, თხის რძიდან უნიკალური და ბაზარზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილების მქონე საექსპორტო ყველი მზადდება. გვიჩვენეს იქაური აგროსერვის ცენტრის მუშაობის პრინციპი, იქ ყველაფერი ერთი ფანჯრის პრინციპზეა მოწყობილი და თვითდაფინანსებით წარმატებულად საქმიანობს. ფერმერებს მრავალმხრივ მომსახურებას უწევს ნერგების, ჩითილების გამოყვანის ტექნოლოგიით დაწყებული, მანქანა-იარაღების მოხმარება-მომსახურებით, პირუტყვის ხელოვნური დათესვლით და საბანკო მომსახურებით (კრედიტების გაცემით) დამთავრებული.

აგროტური ნამდვილად საქმიანი და საჭირო იყო, მიღებული ცოდნა და ნანახი, აუცილებლად დადებითად აისახება ჩვენი სპეციალისტებს მუშაობაზე და სავარაუდოდ, არაერთი საინტერესო პროექტის, თუ მიდგომის საფუძველი გახდება.

**ნუგზარ ოქროპირიძე**
**აგროსერვის ცენტრის მემცენარეობის განყოფილების უფროსი**

# მერძეული ძროხის სელექციაში თანამედროვე მეთოდებს ვნერგავთ

სანაშენე მუშაობა არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია ცხოველის მემკვიდრული თვისებების სასურველი მიმართულებით შესაცვლელად. აქედან გამომდინარე, მერძეულ ძროხასთან სანაშენე მუშაობის ორგანიზებისას ტარდება ღონისძიებები, რომელთაგან ძირითადია: სა-



სურველი პროდუქტიულობის მქონე ცხოველების გადარჩევა, შესაწყვილებელი ინდივიდების ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შერჩევა, მოვლა-შენახვისა და კვების პირობების ოპტიმიზაცია.

ძროხის პროდუქტიულობის ზრდას უზრუნველყოფს მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციების ძირეული გარდაქმნა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ახალი მემკვიდრეობის ფონზე.

უკვე ორი წელია, რაც აგროსერვის ცენტრის მეცხოველეობის განყოფილება, მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივ ფერმერებს ფურის ხელოვნურ განაყოფიერებას სთავაზობს. საერთოდ, სანაშენე მუშაობის ძირითადი პრინციპია - „მაღალპროდუქტიული მშობლებისგან მიღებული შთამომავლობა იქნება მაღალპროდუქტიული." ამ დროს კი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურო-მწარმოებლის შერჩევას, ვინაიდან, მისი გავლენა ნახირის ან ჯიშის გაუმჯობესებაზე გაცილებით დიდია, ვიდრე ფურის.

დღეისათვის, მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყანაში, მერძეული ფურების ხელოვნურად გასანაყოფიერებლად გამოიყენება მხოლოდ გაუმჯობესებული კურო - მწარმოებლები. ასეთმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა ის, რომ მოკლე დროში მონაწველი რამდენიმეჯერ გაზრდილიყო. მაგალითისთვის მოვიყვან ფაქტს, რომ მერძეული ძროხების სელექციის შთამბეჭდავი შედეგებით გამორჩეულ ისრაელში, 1959 წელს ერთი ფურის საშუალო მონაწველი 3847 კგ იყო, ხოლო 2003 წლისათვის, ამ მაჩვენებელმა 10 426 კგ შეადგინა. თავად ხედავთ, რომ მაჩვენებელი ლამის ფანტასტიკურია და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ და შემუშავებულ მიმართულებას შეუძლია ასეთ მონაკვეთში წველადობის სამ-ნახევარჯერ გაზრდა. სხვათაშორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც იგივე მეთოდს იყენებენ, რასაც ისრაელში, ბოლო 50 წელიწადში მონაწველი 1 ფურზე სამჯერ გაიზარდა.

გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისამდე საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ფუნქციონირებდა სანაშენე საქმისა და ხელოვნური განაყოფიერების სამსახურები, შექმნილი იყო ჯიშთსაშენები, სამომშენებლოები, მუშავდებოდა ცხოველთა ჯიშობრივი გაუმჯობესების პროგრამები და ა.შ. დამოუკიდებლობის შემდეგ კი, აღნიშნული სამსახურები დაიშალა, ახალი აღარ შექმნილა და თუ არ ჩავთლით რამდენიმე კერძო სტრუქტურას და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ცალკეულ პროგრამებს - ბოლო 20 წელია, ამ სფეროში რაიმე მნიშვნელოვანი აღარ გაკეთებულა.

სწორედ ასეთ დროს, როცა პრაქტიკულად დარგის კრიზისი აშკარად კატასტროფულ მაშტაბებს იღებდა, როცა პირუტყვის პროდუქტიულობა წარმოუდგენლად დაბალ დონემდე დაეცა, რეგიონში და არა მარტო აქ, სარძეო ძროხების ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის მასშტაბური სამუშაოების ჩატარება, აგროსერვის ცენტრმა იკისრა და უკვე ორი წელია – სერიოზულ შედეგებსაც მიაღწია. პირველ რიგში ჩატარდა ის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების სამუშაოების მაღალეფექტურობას განაპირობებდა. აქ პირველ ყოვლისა საჭირო იყო სპეციალისტებთან მოსამზადებელი სამუშაოების, სწავლებისა და პროფესიული დაოსტატების, ასევე საინფორმაციო უზრუნველყოფა. სამუშაოებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტი მოიცვა. ტრენინგები და სწავლებები გაიარა 30-მა სპეციალისტმა, საიდანაც შეირჩა 14. მარტო 2013 წელს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების საკითხებზე სატელეფონო კონსულტაციები 907 პირს გაეწია, 553 შემთხვევაში განხორციელდა გასვლა ოთხივე მუნიციპალიტეტის სოფლე-



ბსა და ბათუმის შემოგარენში, საიდანაც 428 შემთხვევაში ჩატარდა ხელოვნური განაყოფიერება. ცნობისათვის: პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სამუშაოები ჩვენ 2012 წელსაც ჩავატარეთ, მაშინ, ამ საქმეს ვიწყებდით და მხოლოდ 131 ფურს ჩავუტარეთ ხელოვნური განაყოფიერება. პირველი შედეგები საკმაოდ კარგი და იმედისმომცემი აღმოჩნდა: ჩვენ 60 %-იან შედეგიანობას მივაღწიეთ, რაც ამ საქმეში საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად ითვლება. ამჟამად, რეგიონში ხელოვნური განაყოფიერების შედეგად გაჩენილი 100-ზე მეტი ხბო გვყავს, ზამთრის ბოლოსა და ადრეულ გაზაფხულზე ნამატს ველოდებით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ხბოები ნორმალურად ვითარდებიან და მათ განსაკუთრებულ თვისობრივ მონაცემებზე ფერმერები ღიად საუბრობენ.

აგროსერვის ცენტრს ხელოვნური განაყოფიერების სადგურები აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში აქვთ. ახლახანს, ყველა სადგურს გადაეცა ახალი „ნივა"-ს მარკის ავტომობილები და ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო თანამედროვე ინვენტორ-მოწყობილობები, რაც საშუალებას მოგვცემს, მერძეული ჯიშის საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესების სამუშაოები უფრო მასშტაბური გავხადოთ. თუ ადრე, ამ სამუშაოთა დიდი ნაწილი ბათუმის შემოგარენში, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ჩავატარეთ, ახლა მთიანი აჭარის მეცხოველეობის ზონაში სამუშაოდ, მეტი შესაძლებლობები გვექნება და ტრადიციულად-მეცხოველეობით განთქმულ, მაღალმთიან აჭარაში ჩვენი ძალისხმევით, რამდენიმე წელიწადში პირუტყვის პროდუქტიულობას საგრძნობლად გავზრდით. აქ სამომავლოდ, სახორცე ჯიშის გაუმჯობესების მიმართულებითაც ვაპირებთ მუშაობას.

მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ ჩვენი სპეციალისტები საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით ცალკეულ ადამიანებთან ატარებენ საუბრებს, აძლევენ კონსულტაციებს, რჩევებს, ურიგებენ მაღალ დონეზე მომზადებულ ბუკლეტებს, სადაც, ამ თემასთან დაკავშირებით ყველა საჭირო და აუცილებელი მასალაა თავმოყრილი.

აგროსერვის ცენტრში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გასანაყოფიერებლად იყენებენ ჯერსის, შვიცისა და აბერდინ-ანგუსური ჯიშის კუროს ბიომასალას (სპერმას). აი რა ღირსებებით გამოირჩევიან ეს ჯიშები:



**ჯერსის ჯიში** – გამოყვანილია ბრიტანეთში, კუნძულ ჯერსიზე, სარძევე ჯიშებს შორის ჯერსის ჯიშის ძროხა ერთ-ერთი ყველაზე პატარა ტანისაა. ფურების ცოცხალი მასა- 400-500 კგ-ია. კუროების- 750-800 კგ. ახალშობილი ხბოების წონა- 20-25კგ-ია. ცხოველები ხასიათდებიან მალმწიფობადობით. ე.ი. პირველ ხბოს იგებს 21-23 თვის ასაკში. რძე გამოირჩევა ცხიმის 5,5-5,8 და ცილის 3,6-3,9 მაღალი პროცენტული შემცველობით. ფური წელიწადში საშუალოდ 4000-5000 კგ. რძეს იძლევა.



**შვიცის ჯიში** - გამოყვანილია შვეიცარიაში და ის მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაშია მოშენებული. ზრდასრული ფურის საშუალო მასა შეადგენს 500-600 კგ-ს. კურო-მწარმოებლის - 800-1000კგ-ს. ხოლო ახალშობილი ხბოსი – 30-35კგ-ს. თავის სამშობლოში, შვეიცარიაში, რომელიც გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით, საქართველოს მთიანეთს ძალიან ჰგავს- ფურების საშუალო მონაწველი 4000-5000 კილოგრამია, რომლის ცხიმიანობა 3,8 %-ია.



**აბერდინ-ანგუსური ჯიში** - გამოყვანილია შოტლანდიაში. ჯიში მალმწიფებადია. უკვე 14-16 თვის ასაკში ამთავრებს ინტენსიურ ზრდას და ცოცხალი მასა 450-500 კილოგრამია. კუროსი კი 750-800 კილოგრამი. ახალშობილი ხბოს წონა 15-30 კგ-ია. ხორცის ხარისხით, აბერდინ-ანგუსური ჯიშის ძროხას ბადალი არ ჰყავს. მისთვის დამახასიათებელია გენეტიკური ურქოობა.

**გიორგი შერვაშიძე**
**მეცხოველეობის განყოფილების უფროსი**

# ჩირის წარმოებას დიდი პერსპექტივა აქვს



შრობა კვების პროდუქტების დაკონსერვების ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი ფიზიკური მეთოდია. ძველ ეგვიპტურ, ჩინურ, ინდურ და ბერძნულ-რომაულ ისტორიულ წყაროებში მრავლადაა მოხსენიებული მშრალი ხილი, ხორცი თუ ხმიადები. საკვები პროდუქტების დაკონსერვების ამ მეთოდს აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს და იგი უკვე ტრადიციულთან შეჯერებული, ნორმალური აგროსექტორის მქონე ყველა ქვეყანაშია გავრცელებული.

შრობა უზრუნველყოფს მალფუჭებადი პროდუქტების ხანგძლივი შენახვის მდგომარეობაში გადაყვანას. რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მაღალი კვებითი ღირებულებისა და საუკეთესო გემოვნებითი თვისებების მქონე ხილითა და ბოსტნეულით მომარაგებაში. შრობის შედეგად მიღებული პროდუქტის – ჩირის მოცულობა 3-5 ჯერ მცირდება. უფრო მეტად კლებულობს მისი წონაც, რის შედეგადაც, შესაბამისად სჭირდება მნიშვნელოვნად მცირე ოდენობის ტარა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მცირდება სატრანსპორტო და სასაწყობო ხარჯებიც. საგულისხმოა ისიც, რომ მშრალი პროდუქტები საკვებ ნივთიერებებს შეიცავენ კონცენტრირებული სახით და შესაბამისად, არც შენახვის განსაკუთრებულ პირიობებს მოითხოვენ.

შრობის ობიექტი შეიძლება იყოს ნედლეული, ნახევარფაბრიკატი, ან თავად მზა პროდუქცია. შრობა გულისხმობს ნედლეულისაგან სითხის მოცილებას, გაუწყლოება კი – ტენის მოშორებას, ვინაიდან, საკვებ პროდუქტებში ტენი ძირითადად წყლის სახითაა, შრობა და გაუწყლოება იდენტურ ხასიათს ატარებს. საერთოდ, მასალას აშრობენ სხვადასხვა მიზნით: წონის შესამცირებლად, საკვები ნივთიერების კონცენტრირებისათვის, თბოუნარიანობის ამაღლებისთვის (სათბობში) შენახვის უნარიანობის გადიდებისთვის და სხვა.

პროდუქტის შრობით დაკონსერვების შემთხვევაში, მისი შემცველი ფერმენტები და მიკროორგანიზმები, რომლებიც ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური გარდაქმნების საფუძველია, ინაქტივაციას განიცდიან, რითაც წყდება, ან მინიმუმამდე ეცემა აღნიშნული პროცესები და იზრდება შენახვის უნარი.

შრობით დაკონსერვებული პროდუქტების დასაშვები ტენიანობა დამოკიდებულია მის ქიმიურ შემადგენლობაზე: წესით, რაც მეტია პროდუქტის მჟავიანობა, ეთერზეთებისა და დამაკონსერვებელი ნივთიერებების შემცველობა, მით უფრო მაღალია მზა პროდუქციაში დასაშვები ტენიანობა. მაგალითისათვის: ბოსტნეულის ჩირში იგი 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხილის ჩირში კი – ზღვრული ნორმა 25%-ია.

შრობა, როგორც ტექნოლოგიური პროცესი, მიზნად ისახავს მაქსიმალურად შეუნარჩუნოს ნედლეულს ბუნებრივი თვისებები: გემო, არომატი, ფერი, ვიტამინები, და სხვა. წყლის დამატების შემდეგ პროდუქტის აღდგენა სწრაფად და სრულად უნდა მოხდეს. მაგალითად: ჩირი კარგად უნდა გა-

გაგრძელება მე-4 გვ.





დასაწყისი მე-3 გვ.

ჯირჯვდეს, ხილის წვნის ფხვნილი წყალში სრულად უნდა გაიხსნას, პიურეს სახე უნდა მიიღოს და სხვა.

აგროსერვის ცენტრის ქობულეთის უბანზე დამონტაჟებულ Zepiro Max-ის მარკის, იტალიური წარმოების საშრობ დანადგარში შესაძლებლობა გვაქვს ვაწარმოოთ ვაშლის, ქლიავის, მოცვის, ხურმის და სხვა პროდუქტების მაღალხარისხოვანი ჩირები. საამისოდ ყველა პირობა არსებობს და სათანადო ტექნოლოგიური ინსტრუქციებიც შემუშავებული და აპრობირებულია. ფერმერებს შეღავათიან ფასად შეუძლიათ ხილის გაშრობა. ის ჰელიო სისტემის დანადგარია და კვირაში სხვადასხვა სახის ხეხილოვნების 600 კილოგრამამდე ჩირის წარმოებაა შესაძლებელი. მზეზე ხელოვნური შრობისგან განსხვავებით, საწარმოში დაცულია ყველა ის სანიტარულ-ჰიგიენური პარამეტრები, რაც მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებადაა აუცილებელი. დანადგარი კომპაქტური, ექსპლუატაციის თვალსაზრისით მოხერხებული და მარტივია, თანაც ხარისხის თვალსაზრისით კარგ შედეგს იძლევა. მზის ენერგიის შთანთქმისათვის პანელები საშრობის ზედა ნაწილშია განლაგებული. საშრობში ნედლეულის საშუალო ჩატვირთვა 300 კილოგრამი კენკრა ან 0,5 სმ ნაჭრებად დაჭრილი და დამუშავებული ხილი ან ბოსტნეულია. ელექტროკვების პირობებია: 220/50 ვოლტი/ჰერი ცვალებადი დენი. მაქსიმალური ენერგომოხმარება – 400 ვატ/საათია. დანადგარის ნომინალური თბური სიმძლავრე 10 კვტ/საათია. მზის რადიაციის 1000 ვტ-კვ.მ. პირობებში. შრობის საშუალო ტემპერატურა – 40 C-ია. ჰაერის საშუალო ხარჯი 1800-2000 კუბ.მ/სთ-ია, მაქსიმალური ხარჯი კი 4000 კუბ. მეტრს შეადგენს.

შრობის თანამედროვე ტექნოლოგიებზე უფრო ფართო წარმოდგენისათვის გეტყვით, რომ განვითარებულ ქვეყნებში პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება ინფრაწითელი სხივებით მომუშავე საშრობი საამქროების გამართვა. ეს ტექნოლოგია იმით არის გამორჩეული, რომ იგი პროდუქციის გაუწყლოვნების საშუალებას 60 C-მდე ტემპერატურაზე იძლევა. ამ დროს არ ხდება პროდუქციის გადახურება. პროდუქტი სიღრმულად შრება და შენახვასაც უკეთ ექვემდებარება. ამ მეთოდის ღირსება ისაა, რომ პროცესში ბაქტერიებიც იხოცება. ინფრაწითელი სხივებით გამომშრალი პროდუქცია პრაქტიკულად აღარ ლპება. ადვილად გაღვივებადია და ვაკუუმ შეფუთვის შემთხვევაში, წლების შემდეგაც კი, წყალში დასველების შედეგად აღიდგენს პირველსაწყის თვისებებს. ჯერ-ჯერობით, ეს მეთოდი ქართულ აგროინდუსტრიაში გამოყენებული არაა.

საქართველოში ყველა რეგიონს უდგას საკვები ხილისა და ბოსტნეულის კონსერვაციის, დაჩირვის პრობლემა. რესურსი და შესაძლებლობები ამოუწურავია. ჩირის წარმოების მხრივ



ცნობილ, სამეგრელოს რეგიონში, სადაც ტრადიციულად ძალზე დიდი ოდენობით უგემრიელესი ხურმის ჩირი მზადდება, ყველაფერი მარტივი და კუსტარული ტექნოლოგიებით კეთდება. არა და ბოლო დროს, ამ რეგიონიდან ათეულობით ტონა პროდუქცია გავიდა ექსპორტზე. როგორც საინფორმაციო წყაროებიდან ირკვევა, შარშან 50 ტონამდე ხურმის ჩირი მარტვილიდან თურქეთშიც გაიტანეს, დიდი პარტია გავიდა სომხეთში, რუსეთსა და უკრაინაშიც, შესაბამისად, ალბათ ამან შიგა ბაზარზე ამ პროდუქციის გაძვირებაც გამოიწვია, რაც იმის დასტურია, რომ ხარისხიან ჩირზე სამომავლოდ მზარდი მოთხოვნა ქვეყნის შიგა ბაზარზეც იქნება. ამიტომაც, რაც შეიძლება, მოკლე დროში უნდა ვიზრუნოთ ამ მიმართულების სამრეწველო რელსებზე გადასაყვანად, რისი პიონერებიც ჩვენ ვართ და სამომავლოდ დიდი მუშაობის ჩატარებაც მოგვიწევს.

**ინგა გაფრინდაშვილი**
**აგროსერვის ცენტრის ინჟინერ-ტექნოლოგი**

## ის, რაც ჩირის შესახებ უნდა ვიცოდეთ

ჩირი – არაჩვეულებრივი ალტერნატივაა ტკბილეულის მოყვარულთათვის, რომელთაც გახდომა სურთ. ჩირში შემავალი ფრუქტოზა – ნაკლებმავნებელია, ვიდრე შაქარი. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩირი საკმაოდ კალორიულია, მისი ენერგეტიკული ღირებულება 100 გრამზე 250-300 კალორიაა. ასე, რომ არ უნდა გადავაჭარბოთ და დავხარბდეთ, დღეში რამდენიმე ცალი ჩირი, სრულიად საკმარისია ვიტამინებისა და სხვა სასარგებლო მიკროელემენტების საჭირო ოდენობით შესავსებად.

ჩირის პოპულარული ასორტიმენტი საკმაოდ დიდია, ჩამონათვალში არის ისეთები, რომელთა მოხმარება საქართველოში, არც თუ ისე მცირეა და მათ ღირსებებზე ზოგადი წარმოდგენის ქონა – სულაც არაა ზედმეტი:



**კურაგა** – ეს კურკაგამოცლილი გარგარის ჩირი გახლავთ. იმის გამო, რომ გარგარი საკმაოდ დიდი რაოდენობით კალციუმს და მაგნიუმს შეიცავს, გარგარის ჩირი რეკომენდირებულია მათთვის, ვისაც ჰიპერტონია აწუხებს. იგი ძალზე სასარგებლოა ორსულებისათვის და მოზარდებისათვის.



**შავი ქილავის ჩირი** – სხვა მრავალ სასარგებლო ნივთიერებებთან ერთად, შეიცავს ორგანულ მჟავეებს, რომელლებსაც ანტიბაქტერიული მოქმედების უნარი აქვთ და ანტიოქსიდანტებად გვევლინებიან.



**ქიშმიში** – ქიშმიში, სხვადასხვა ჯიშის ყურძნიდან მზადდება და შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ჩირის სახეობაა. იგი ყურძენში შემავალი არაერთი სასარგებლო ნივთიერების წყალობით, დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, გამოირჩევა ფრუქტოზის დიდი ოდენობით, ორგანიზმიც კარგად ითვისებს და ნამდვილ ანტიდეპრესანტად გვევლინება.



**ლეღვის ჩირი** – გამხმარი ლეღვი, სხვა არომატულ თუ გემოვნებით თვისებებთან ერთად, იმითაცაა გამორჩეული, რომ დიდი ოდენობით უჯრედანას შეიცავს, ისიც საგულისხმოა, რომ მასში გაცილებით მეტი რკინა შედის, ვიდრე ვაშლში.

ჩირის მოყვარულებს სპეციალისტები ურჩევენ, ბაზარში, თუ სხვა სავაჭრო ქსელში ჩირის შეძენისას, ყურადღება მიაქციონ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს, რომლებიც თურმე, ამა თუ იმ სახეობის ჩირის ლისებისა და კვებით ღირებულებას განსაზღვრავენ: ქიშმიშის მოყვარულებმა, როცა მათ წინ ღია ფერის ქიშმიშია, რომლის ზედაპირიც მადისამღძვრელად პრიალებს, არ იჩქარონ მისი შეძენა, რადგან ასე ქიშმიში მხოლოდ ქიმიურად, ან ზეთით დამუშავების შედეგად გამოიყურება. წესით, მისი ზედაპირი საკმაოდ გამომშრალი უნდა იყოს. ამასთან, თეთრი ჯიშის ყურძნიდან დამზადებული ქიშმიში – ყოველთვის ღია ყავისფერია. რას შეეხება შავი ქლიავის ჩირის გლუვ ხედაპირსა და ბრწყინავ ფერს, პირიქით – ეს ჩირის ღირსებებზე მეტყველებს და სწორედ ასეთი პროდუქცია უნდა შეიძინოთ. სწორად გამომშრალი ლეღვის ჩირი კი – ყოველთვის ღია ყავისფერი უნდა იყოს.

საქართველოში ხილის გაშრობის, ჩირისა და სხვა გამშრალი პროდუქციის წარმოების ათასწლოვანი ისტორიაა, მარტო ჩვენებური და განუმეორებელი ჩურჩხელა რად ღირს! ჩვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან აწარმოებდნენ ხილფაფებიდან დამზადებულ ტყლაპებს, თითქმის ყველა ხილის ჩირს ამზადებენ. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ კარგადაა შესასწავლი ქართული, ძირითადათ კი რაჭული ლორის, შებოლილი სულგუნის, შებოლილ-გამომხმარი კუპატის და რაც ერთობ საინტერესოა – აჭარული ყურუთის წარმოების ისტორიული ფესვები. სხვათაშორის, ყურუთი– სამხედრო თვალსაზრისითაც სტრატეგიული პროდუქტი ყოფილა, მარტო აჭარა–მესხეთში მზადდებოდა და ვახუშტი ბაგრატიონს იგი „ყურათად" აქვს მოხსენიებული, იგი თითქმის ყველა ძირითად საკვებ ნივთიერებებს შეიცავს, გამოირჩევა მაღალი კალორიულობით, შენახვის ხანგძლივობით და პრაქტიკულად გამორიცხულია ამ პროდუქტისგან კვებითი მოწამვლის შემთხვევები. არც შენახვის განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს და ჩურჩხელასთან, ჩირთან და ტყლაპებთან ერთად მობილური ქართული ჯარის სალაშქრო პროდუქტად ითვლებოდა.

**ნუგზარ ყორდანია**

## სასოფლო- სამეურნეო ბარათებს ყველა მეურნე მიიღებს




როგორც ცნობილი გახდა, სახელმწიფო წელსაც აგრძელებს საგაზაფხულო სამუშაოთა ჩატარებისათვის განკუთვნილი მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამას. შარშანდელი პრაქტიკის მსგავსად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეებს. რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, წელსაც გადაეცემათ სასოფლო-სამეურნეო ბარათები, ე.წ. ნომინალური და კომბინირებული, მაგრამ პროგრამის განხორციელებაში გარკვეული კორექტივებია შესული. ბარათებს ის ფერმერები მიიღებს, რომლებიც ამუშავებენ 1,25 ჰექტარ მიწას. შარშან ეს ზღვარი 5 ჰექტარი იყო. ნომინალური ბარათი კვლავ ნიადაგის დამუშავებისთვისაა განკუთვნილი, რასაც შ.პს. "მექანიზატორი" შეასრულებს. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას ვისაც შესაბამისი ტექნიკური საშუალებები გააჩნია და სათანადო ხელშეკრულებას გააფორმებს სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების სააგენტოსთან.

კომბინირებული ბარათებით წელს მხოლოდ სასუქების, პესტიციდების და თესლ-ნერგის შეძენა იქნება შესაძლებელი. ამჯერად ამ ბარათებით სამუშაო ინვენტარს და წარმოების სხვა საშუალებებს ფერმერები ვერ შეიძენენ. თანხები ფერმერებს პლასტიკურ ანუ აგრო ბარათებზე დაერიცხებათ და ნებისმიერ სპეციალიზებულ მაღაზიებში გამოიყენებენ.

**რეზო მსხილაძე**

## აგროსერვის ცენტრი საშობაო მსვლელობას შეუერთდა

აგროსერვის ცენტრის თანამშრომლები აჭარის მთავრობის, ბათუმის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, ბათუმში მიმდინარე საშობაო მსვლელობას შეუერთდნენ. აგროსერვის ცენტრის დირექტორმა გოჩა ბერიძემ ალილოს მონაწილეებს ბედნიერი შობა-ახალი წელი უსურვა და საშობაო ნობათი გადასცა.



### მილოცვა



აგროსერვის ცენტრის კოლექტივი ულოცავს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორს, ჩვენი კოლექტივის ღირსეულ წევრს, მუდამ ერთგულ საქმის მკეთებელსა და გამორჩეულ მოქალაქეს, ბატონ რეზო ჯაბნიძეს დაბადებიდან 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის – 35 წლის იუბილეს. უსურვებს ჯანმრთელობას, შემდგომ წარმატებებს მშობლიური ქვეყნის, ქართული აგრარული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

მკითხველის აზრი ჩვენთვის უმთავრესია!
მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ თქვენთვის საინტერესო თემები და წინადადებები ქვემოთ მითითებულ მისამართზე:
საქართველო, ბათუმი (6010)
გოგებაშვილის 46ა
ელ. ფოსტა:
agroservice.centre@yahoo.com
ტელ.: 593100829

WWW.AGROSC.GE

რედაქტორი
ნუგზარ ყორდანია
გაზეთზე მუშაობდნენ:
რევაზ მსხილაძე, ნუგზარ ოქროპირიძე, თამაზ ბერიძე.

გაზეთში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ გამოხატავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს

გაზეთი გამოდის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის "ENPARD Ajara - სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში"

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს „მარკას" მიერ
WWW.MARKA.GE
592 129 192; 555 129 192